საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990121777103421

№09/3871 07 / ოქტომბერი / 2021 წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი)
ბატონ კარლო კოპალიანს

ბატონო კარლო,

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განხილულია თქვენი 2021 წლის 21 სექტემბრის MES7210000956171 მომართვა, რომლის თანახმად დაგეგმილია ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.13.041.016) სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მეორე სასწავლო კორპუსის ფასადის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების (შენობის შეფითხვა, შეღებვა) განხორციელება და ითხოვთ სააგენტოს თანხმობას აღნიშნულის თაობაზე.
გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. N67-ში მდებარე (ბრძანებაში იდენტიფიცირებული - ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N69-თან) ს/კ 01.10.13. 041.016 თბილისის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.
„კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების თანახმად მიეცა უფლება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, განახორციელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღების, ასევე, წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლის უფლებამოსილების დელეგირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტზე.
ამდენად, ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ძეგლზე სამუშაოების ნებართვის საფუძველზე, განხორციელდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მეორე სასწავლო კორპუსის ფასადის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ განცხადებაში მითითებული საკითხის განხილვის მიზნით უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

ასევე, გიგზავნით დანართის სახით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების ამონაწერს.

/დანართი: 1 ფურცელი/

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი

დანართი N1
საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 1 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების
დანართი №2-ის ამონაწერი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 011702804



1. სახელწოდება - თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა 69
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-20 საუკუნის I ნახევარი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 1 21 0000995118

29/09/2021

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს 2021 წლის 21 სექტემბრის N956082 კორესპონდენციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N67-ში მდებარე (ს /კ N01.10.13.041.016), მეორე სასწავლო კორპუსის ფასადის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების (შენობის შეფითხვა, შეღებვა) განხორციელების საკითხს, გაცნობებთ, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის პოზიციის გათვალისწინებით, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განახორციელოთ შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ

გაცემის თარიღი

02.05.2022

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 211349192
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1871986
გასაჩივრების წესი :	ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1871986

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განათავსოს ქ. თბილისში, კოსტავას ქ. 67/69ა (#01.10.13.041.016 საკადასტრო ერთეულის) მიმდებარედ, დროებითი ღობე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფით, ტერიტორიაზე განთავსებული მწვანე ნარგავების და ხაზობრივი ნაგებობების დაუზიანებლად, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით / მშენებლობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში.
2. სამუშაოების დაწყებამდე, განმცხადებელმა უზრუნველყოს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილების და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზების სქემის წარდგენა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, შესათანხმებლად.
3 აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 6 (ექვსი) თვის ვადით.


(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის

სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



გამოსაყენებელი ტერიტორია. ფართობი: 432.3 კვ.მ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 3 22 00947491

11/04/2022

მოქ. კ. ღვინჯილიას
ქ. თბილისი წყნეთის გზატ. კორ. 5 ბ. 300;
თქვენს 2022 წლის 8 აპრილის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N 69ა ს/კ 01.10.13.041.016-ის მიმდებარედ ფასადის რეაბილიტაციის და სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

- ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობას (წერილის ნომერი 04/04/2022 16-01220943136), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:
- წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ სამუშაოები იწარმოებს 2022 წლის 1 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით, ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე, ხოლო დღის განმავლობაში მოხსნილი უნდა იყოს სქემით გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა, რათა ავტომობილებმა შეძლონ უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილება.
- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე მიმდებარე ტერიტორია მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში და დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი;
- სამუშაოების დაწყების და დამთავრების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241-85-04; 241-85-05);

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 1 ფაილად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 21 აგვისტო, 2012 წელი

ერთი მხრივ, **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,** (შემდგომში "გამყიდველი") წარმოდგენილი სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის პრივატიზების ორგანიზების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის **იზოლდა მარსაგიშვილის** (პირადი №44001000687) სახით, მოქმედი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 3 იანვრის №06/40 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **ა(ა)იპ - "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"** (საიდენტიფიკაციო კოდი №211349192) (შემდგომში ,,მყიდველი") წარმოდგენილი: **მალხაზ ლომთაძის** (პირადი N01026005957) მიერ, მოქმედი ა(ა)იპ - "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"-ს რექტორის ა. ფრანგიშვილის 2012 წლის 21 აგვისტოს №74-01-2006/01-25 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და **ვახტანგი მამალაძის** (პირადი N01021004860) მიერ, მოქმედი ა(ა)იპ - "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"-ს რექტორის ა. ფრანგიშვილის 2012 წლის 21 აგვისტოს №74-01-2012/01-25 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის N1-1/1537 ბრძანებისა და ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 16 აგვისტოს №16/08/02 განკარგულების საფუძველზე, წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება") ვაფორმებთ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად, ,,გამყიდველი" გადასცემს, ხოლო ,,მყიდველი" იღებს საკუთრებაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ამ ხელშეკრულების №1 დანართში მითითებულ უძრავ ქონებას (შემდგომში "ქონება"), ასევე, ამ ხელშეკრულების №2 დანართში მითითებულ მოძრავ ქონებას (შემდგომში "მოძრავი ქონება") პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური და მისი გადახდის წესი

2.1 ,,მყიდველი" ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში გადაიხადოს საპრივატიზებო საფასური, რომელიც ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შედგება მხოლოდ საპრივატიზებო შემოსულობისაგან – 1 (ერთი) ლარის ოდენობით და ამავე ვადაში წარმოუდგინოს ,,გამყიდველს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის ,,გამყიდველის" მიერ მითითებულ შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 ,,მყიდველი'' ვალდებულია:

3.1.1 გადაიხადოს ,,ქონებისა'' და ,,მოძრავი ქონების'' საპრივატიზებო საფასური და წარმოუდგინოს გამყიდველს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით დადგენილი პირობის შესაბამისად;

3.1.2 დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება;

3.1.3 დაფაროს საჯარო რეესტრში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისა და ,,ქონების'' რეგისტრაციის ხარჯი. დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული სანოტარო ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონების შემთხვევაში შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები;

3.1.4 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მათ შესრულებაზე ,,გამყიდველს'' წარუდგინოს ინფორმაცია ,,გამყიდველის'' მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.

3.1. ,,მყიდველს'' უფლება აქვს ,,გამყიდველის'' თანხმობის შემთხვევაში, საპრივატიზებო ვალდებულების შესრულების მიზნით იპოთეკით დატვირთოს ,,ქონება''.

3.2 ,,გამყიდველი'' ვალდებულია ,,მყიდველის'' მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გასცეს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების წერილობითი დადასტურება, რომელიც შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ვალდებულების გაუქმების ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

3.3 მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, სრულად და დროულად შესრულება.

მუხლი 4. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

4.1 ,,მყიდველს'' ,,ქონებაზე'' საკუთრების უფლება გადაეცემა ხელშეკრულების ხელმოწერისა და ,,ქონების'' საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, ,,მყიდველი'' ვალდებულია საჯარო რეესტრში დაარეგისტრიროს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება;

4.2 ,,მყიდველს'' ,,მოძრავ ქონებაზე'' საკუთრების უფლება გადაეცემა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით, ხოლო რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონების შემთხვევაში შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდგომ;

4.3 ,,მყიდველს'' ,,ქონება'' გადაეცემა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონების შემთხვევაში შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდგომ;

4.4 ,,მყიდველს'' ,,მოძრავი ქონება'' გადაეცემა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან, ხოლო რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონების შემთხვევაში შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან;

4.5 ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ,,გამყიდველის''მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

4.6 თუ ,,მყიდველი'' წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს საპრივატიზებო საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, ,,მყიდველისათვის'' საპრივატიზებო საფასურის გადახდისათვის მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ,,გამყიდველის'' წერილობითი მიმართვის საფუძველზე საჯარო რეესტრში უქმდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მყიდველის საკუთრების უფლება და ,,ქონება'' რეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებად, ხოლო ,,მოძრავი ქონება'' უბრუნდება ,,გამყიდველს''. რეგისტრაციას დაქვემდებარებული "მოძრავი ქონების" შემთხვევაში ,,მყიდველისათვის'' საპრივატიზებო საფასურის გადახდისათვის მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ,,გამყიდველის'' წერილობითი მიმართვის საფუძველზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში უქმდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მყიდველის საკუთრების უფლება და "მოძრავი ქონება" რეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებად.

4.7 ,,გამყიდველის" თანხმობის გარეშე ,,მყიდველს'' ,,ქონებისა'' და ,,მოძრავი ქონების'' საპრივატიზებო საფასურის გადახდამდე არ აქვს უფლება გადაცემული ,,ქონება" ან/და ,,მოძრავი ქონება" გაასხვისოს, განკარგოს ან სხვაგვარად დატვირთოს.

4.8 საფასურის გადახდამდე ,,ქონებისა'' ან/და ,,მოძრავი ქონების'' სრულად ან ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში ახალი მესაკუთრე ,,მყიდველთან" ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1 წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,მყიდველი'' იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.

5.2 პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

5.2.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.2.2 ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ,,გამყიდველი'' ,,მყიდველს'' გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და

იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.3 დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მყიდველს'' ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4 წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა ,,გამყიდველის'' მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად. ასეთ შემთხვევაში ,,ქონება'' და ,,მოძრავი ქონება'' უბრუნდება პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს. სახელმწიფო ქონების შემძენს არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც ცდება ,,გამყიდველის'' ან ,,მყიდველის'' კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით, (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება არცერთ მხარეს არ შეეძლო.

6.2 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების და მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 72 საათისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში, მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.4 ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.5 ფორს-მაჟორული გარემოებების 1 თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

მუხლი 7. შეტყობინებები

7.1 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, ფაქსის, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტის მიზნებისათვის მხარეთა რეკვიზიტებია:

7.2.1 გამყიდველის შემთხვევაში:

მიმღები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მისამართი: ჭანტურიას ქ. N12, თბილისი, საქართველო;

ტელ: 995 32 2991105; 2991111

ფაქსი: 995 32 2921534

7.2.2 მყიდველის შემთხვევაში:

მიმღები: ააიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საიდენტიფიკაციო კოდი N404882640

მისამართი: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ. №77

ტელ: 591 19 17 30

7.3 ,,მყიდველი'' ვალდებულია შეატყობინოს ,,გამყიდველს'' მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,გამყიდველის'' მიერ ,,მყიდველის'' ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის წერილობითი გაფრთხილება ჩაითვლება ჩაბარებულად;

მუხლი 8. მარეგულირებელი კანონმდებლობა, დავების გადაწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში საკითხი წყდება მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 9. სხვა დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

9.2 ხელშეკრულების ყველა ცვლილება/დამატება ან/და დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.3 საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.4 ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან/და ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სხვა პუნქტების გაუქმებას ან/და ბათილობას.

9.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

9.6 სათაურები წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

9.7 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 5 (ხუთი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და საჯარო რეესტრს.

9.8 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

გამყიდველი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი

იზოლდა მარსაგიშვილი

მყიდველი
აიპ - "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"
წარმომადგენელი

მალხაზ ლომთაძე

ვახტანგ მამალაძე

საქართველოს პრეზიდენტის
2012 წლის 16 აგვისტოს
N16/08/02 განკარგულების
დანართი N1

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაეცემა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს

N	ადგილმდებარეობა	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N
1.	ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N68	30383	შენობა-ნაგებობები N1-N44	01.10.17.041.016
2.	ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N69ა, (სტუ X სასწავლო კორპუსი)/ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N67 (სტუ II სასწავლო კორპუსი)/ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N69	9141	N1-2-3, ფართობით - 9805.0 კვ.მ; N4-5-6-7-8-ში - 6919.36 კვ.მ და I სართულზე - 811.64 კვ.მ; ნაგებობები: N9, N10, N11, N12, N13, N14, N15	01.10.13.041.016

3.	ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N71 (სტუ VII სასწავლო კორპუსი)	წილობრივი	I სართული - 984.41 კვ.მ II სართული - 302.46 კვ.მ III სართული - 501.71 კვ.მ IV სართული - 538.21 კვ.მ V სართული - 513.57 კვ.მ	01.10.13.040.003.01.01.517
4.	ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N77	წილობრივი	შენობა-ნაგებობა N1, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9 (VI კორპუსი)-დან -26647.99 კვ.მ; N2 (VI კორპუსი) – 6049.28 კვ.მ (მ/შ სარდაფ-სართულზე - 758.66 კვ.მ, I სართულზე - 1490.2 კვ.მ (გარდა მ/შ 53.46 კვ.მ-ისა), II სართულზე - 1970.01 კვ.მ, III სართულზე - 1830.41 კვ.მ); N10, N11, N12, N13, N14, N15, N16, N17 (ადმინისტრაციული კორპუსი), საერთო ფართობით - 8202.0 კვ.მ; N18, N19, N20,	01.10.13.023.132

			N21, N22, N23, N24, N25, N26, N27, N28, N29, N30, N33, N34 (III - IV კორპუსი) კორპუსებში - 14084.17 კვ.მ (გარდა ცოკოლის სართულზე -251.8 კვ.მ, 475.0 კვ.მ, 141.0 კვ.მ, 256.03 კვ.მ-ისა), N31, N32 (IX კორპუსი), საერთო ფართობით - 4698.29 კვ.მ	
5.	ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N77 (ლიტ. „ა“, ლიტ. „ბ“, ლიტ. „ვ“, ლიტ. „გ“)	წილობრივი	N1 (ლიტ. „ა“), საერთო ფართობით - 10216კვ.მ; N2 (ლიტ. „ბ“), საერთო ფართობით - 2619კვ.მ; N3 (ლიტ. „ვ“), საერთო ფართობით - 643 კვ.მ (საერთო ფართობით - 13478 კვ.მ-დან 13197.91 კვ.მ)	01.10.13.023.055
6.	ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N77	4062	მიწისქვეშა ნაგებობა (შახტა ლაბორატორია)	01/10/13/23/070.